ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს

ქ. თბილისში 8 მარტის ქ. № 34-ში მცხოვრები
მოქალაქე თეიმურაზ ივანეს ძე ჩიკვაიძის

# განცხადება

დავიბადე ქალაქ თბილისში, 1933 წლის 11 თებერვალს.

დედარემი - რუსუდან ნიკოს ასული ბაგრატიონ-მუხრანელი მიეკუთვნება მუხრანელი ბაგრატიონთა შტოს და არის ასული სახელოვანი ნიკო ბაგრატიონისა, ნიკო ბურად წოდებულისა.

მამა - ივანე ვასილის ძე ჩიკვაიძე იყო განათლებით ექიმი და ინჟინერი. ბედისწერამ მარგუნა დავბადებულიყავი შავბნელი რეპრესიების ხანაში, რომელმაც ჩემი ოჯახიდან 22 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ჩემს საგვარეულოში ბაგრატიონთა მხრიდან, ნიკო ბურის ოჯახიდან მამაკაცი მარტო მე დავრჩი, და აი, უკვე 57 წელი შემისრულდა. უფალმა ინება ჩემი ცხოვრების მიწურულს ერუქებინა მემკვიდრე, ( ჩემი სამი წლის შერთული მეუღლე ფეხმძიმედ არის და ბავშვს ელოდება).

დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემმა ძემ ან ასულმა ღირსეულად ატაროს ბაგრატიონთა დიდებული გვარი და 21 საუკუნეში გააგრძელოს და ამრავლოს.

იმედს არ ვკარგავ, რომ თქვენგან მექნება თანადგომა და დახმარება ჩემი ოცნების განხორციელებაში.

პატივისცემით ნიკო ჩიკვაიძე-ბაგრატიონ-მუხრანელ

31 ოქტომბერი 1990 წელი.